ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 289 (19730) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 Წ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საუკეთესო სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გაზრდის გადადებულ ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად სოფლად შექმნილმა საწარმოო-ეკონომიკურმა გეთარებამ, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის კურსის თანამიმდევრულმა განხორციელებამ საოცერო წანამძღვრები შექმნეს მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე მტკიცედ და ყველგან გადასვლისათვის, სოფლის მშრომელთა საწარმოო აქტიურობის ფართო განვითარებისათვის.

როგორც უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს ყველაზე კარგად ხორციელდება წარმოების ყველა დონეზე სამეურნეო-ანგარიშებრივი ურთიერთობის სრული ათვისების, კოლექტიური ფორმისა და ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში. ამ მუშაობამ მეტი საგნობრიობა შეიძინა ქალაქ ბელგოროდში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირის შემდეგ. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარის უკვე ახლა, უბრუნველყოფს რა თავისი შრომის შედეგებით მექანიზატორთა, მეცხოველეთა და სხვა მუშაკთა დიდ პირად დაინტერესებას, ძლიერ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე.

კოლექტიური იჯარის სხვადასხვა ფორმას შორის ყველაზე კარგი გამოდგა ინტენსიური შრომის მეკრატიულ პრინციპებს, აკნინებენ შრომითი კოლექტივების როლს და ლახავენ მათს უფლებებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, რაიონულ კომიტეტებს, სსრ კავშირის სახალხომეურნეს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასკომებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებს ძირეულად გაეუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვისათვის, ამასთან შეუხამონ იგი ინტენსიური ტექნოლოგიებს, მიიჩნიონ ეს საქმე სავალდებულოდ და საჭიროდ ქვეყნის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისთვის.

წამოყენებულია წინადადება კრიტიკულად განხილონ თითოეულ კოლექტივში მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების ათვისებასთან დაკავშირებული საკმის ვითარება, განსაზღვრონ სამეურნეო ანგარიშსა და კოლექტიურ იჯარაზე ყველა ძირითადი საწარმოო ქვეგანყოფის გადასვლის კონკრეტული ღონისძიებანი, შექმნან საამისოდ საჭირო ობიექტური წანამძღვრები. ყოველმხრივ განავითარონ გამმყოლი და საოჯახო იჯარა, შრომის ორგანიზაციისა და რეჟიმის ოპტიმიზაციისათვის, მუშა ახალგაზრდობის სწავლის ორგანიზაციაში ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოითხოვა კიდევ უფრო გააქტიურდეს მუშაობა ამ მიმართულებით, და რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს დაავალა პერიოდულად გააანალიზონ საღამოს და დაუსწრებელი სასკოლო განათლების მდგომარეობა, გაზარდონ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, მთელი პედაგოგიური კადრების პასუხისმგებლობა მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ჯეროვან დონეზე დაყენებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაობა ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და იგი არასაკმარისად ცნო. სანაოსნოს უფროსი, სკკპ წევრი ჯ. ჭიღვარია მკაცრად გააფრთხილეს, რომ საჭიროა უმოკლეს ვადებში აღმოფხვრას მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, დაჩქაროს კოლექტივის მთელი საქმიანობის გარდაქმნა. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. სანაოსნოს პარტკომის მდივანს რ. ბერიძის ყურადღება მიიპყრეს იმას, რომ სათანადო ზომებს არ მიმართავს კადრებთან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის. დასახულია სანაოსნოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ბრიგადებთან და ფერმებთან მუშაობაში ხშირად ურიგდებიან ადმინისტრირებას, არღვევენ მართვის დონეებს, აკნინებენ შრომითი კოლექტივების როლს. ეს ფაქტორები ამცირებენ ეკონომიკურ ეფექტიანობას, ანელებენ ტექნიკურ პროგრესს, ამცირებენ ადამიანთა ინტერესებს. ეს ფაქტორები ეწინააღმდეგებიან ეკონომიკურ ინტენსიფიკაციას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ფაქტორებზე გადასვლ

„სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXVII ყრილობის მითითებებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის მტკიცე გარდაქმნის შესახებ, ბეჯითად უნდა გააძლიერონ პარტიის დირექტივების, საბჭოთა კანონებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების ფაქტობრივი შესრულების შემოწმებათა ქმედითობა, აღკვეთონ სახელმწიფო, საგეგმო და საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევები, მიიღწიონ მარცვის აპარატის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში ნაღოვანებათა ოპერატიულ აღმოფხვრას. გაბედულად და პრინციპულად იმოქმედონ ყველა შემთხვევაში, როცა ზიანი აგება სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს. გაფაფრთონ კონტროლის საჯაროობა“.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დაგვანილებიდან

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამჟამად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებში საქონლის ჩამოფასებასა და ფასდაკლებული საქონლის ვაჭრობაში უხეშ დარღვევებზე.

როგორც კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ზოგიერთი ორგანიზაცია უხეშად არღვევს ჩამოფასების, ფასდაკლებული საქონლის გაყიდვის, აგრეთვე ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების გამოყენების წესებს.

გამოვლინდა მრავალი ფაქტი, როცა ჩამოფასების ფონდის ანგარიშზე დაუსაბუთებლად ამცირებდნენ გაუმჯობესებული ხარისხის ახალი საქონლის ფასებს, ჩამოფასებდნენ ნაწარმს, რომელიც უვარგისი გახდა თვით ვაჭრობის მუშაკთა დაუდევრობით, ან მრეწველობიდანვე საწარმოო დეფექტებით არის მიღებული. მარტო 5 სავაჭრო ორგანიზაციაში შარშან 1,2 მილიონი მანეთის საქონელზე შედგენილი ნუსხა-აქტების შემოწმებისას გამოვლინდა 330,3 ათასი მანეთის უკანონოდ ჩამოფასებული საქონელი, რამაც 136 ათასი მანეთი ზარალი გამოიწვია.

საქონლის ჩამოფასებას ფორმალურად უდგებიან

არსებითი შეცდომები და ხარვეზებია დაშვებული გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის საქონლის სეზონური ვაჭრობის მომზადებასა და მოწყობაში. სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმის დარგობრივმა კომისიებმა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განსაჯელად წარუდგინეს მრეწველობის ორგანიზაციებთან შეუთანხმებელი საქონლის სია. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ასეთი ასორტიმენტის საქონლის სეზონური გაყიდვის შესახებ 1986 წლის 17 ივლისის ბრძანებით, რომელიც სამინისტროს სამრეწველო საქონლის ვაჭრობის განყოფილებამ მოამზადა, დაამტკიცა დაუმუშავებელი სიები. ამავე დროს ეს სიები წარუდგინა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მასში შეტანილი პროდუქციის გამოშვების შეწყვეტისათვის. მოთხოვნის შესწავლისა და მიწოდების განყოფილების უფროსი მ. დემურიშვილი კი უპასუხისმგებლოდ მიუდგა დაკისრებულ საქმეს, დროულად და ღრმად არ გაეცნო სეზონური საქონლის მოდელებში. ამის გამო სიებში დარჩა 33 მოდელი, რომლებიც გაუმჯობესებული ხარისხის საქონლად ითვლებოდა და დაწესებული ჰქონდა დროებითი ფასები. ამის გამო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ფასი შეუტანია 1475 ათასი მანეთის ნაწარმს, რომლის რეალიზაციამაც მთლიანად 335 ათასი მანეთი დანაკარგი გამოიწვია.

რესპუბლიკური საავაჭრო ბაზის „საქტანსაცმელეკავჭრობის“ მმართველის მოადგილემ ლ. ფხიკაძემ, „თბილისტანსაცმელეკავჭრობის“ დირექტორის მოადგილემ რ. ჭკუასელმა და უნივერმაღ „თბილისის“ დირექტორის მოადგილემ დ. ბაკურაძემ, რომლებსაც ადრეც ჰქონდათ შეცდომები საქონლის სიების შედგენაში, ასევე ვერ უზრუნველყვეს ადგილებზე სწორი ჩამოფასება, რითაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენეს. „საქტანსაცმელეკავჭრობის“ ბაზაში ნუსხა-აქტებში მეიტანეს ისეთი ნაწარმის არტიკულები და მოდელები, რომლითაც გაუმჯობესებული, საქონლის ინდექსები მიმდინარე წლის აპრილში მიენიჭათ. 39 ათასი მანეთი იზარალეს „თბილისტანსაცარარსებული საქონელიც და ა. შ.

გაგრის „კურორტეკავჭრობის“ დირექტორის ს. ღურწკაიას უყურადღებობით არაკანონიერად, ზემდგომი ორგანოების უნებართვოდ ჩამოფასეს 18300 მანეთის საქონელი. მათ შორის ცხრა ათასი მანეთის ფოტო, კინო და რადიოსაქონელი ჩამოფასდა 90 და მეტი პროცენტით. აქვე ინსტრუქციის დარღვევით ჩამოფასეს დიდძალი რთული ტექნიკური და გაუმჯობესებული ხარისხის საქონელი. აქაც სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი მნიშვნელოვანია.

ანალოგიურად ჩამოფასეს რთული ტექნიკური ნაწარმი ხაშურის „ქალაქვაჭრობასა“ და უნივერმაღ „თბილისში“.

გაგრის „კურორტეკავჭრობაში“ საქონლის ჩამოფასებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 14 ათას მანეთზე მეტი დირებულების, ვითომდა სასაქონლო სახელაკარგული ნაწარმი აქ ხსე ჩამოფასეს, კომისიას არც დაუთვალიერებია და ფაბრიკის მიერ შეფუთული ყუთებიდან არც კი ამოუღებიათ.

გამოვლინდა ისეთი ფაქტებიც, როცა ჩამოფასების ნაცვლად ზოგიერთ სამეურნეო საქონელს ფასიც კი მოუმატეს, ანდა თავდაპირველ ფასად გაყიდეს. ასეთი შემთხვევები იყო ხაშურის „ქალაქვაჭრობაში“, გაგრის „კურორტვაჭრობასა“ და უნივერმაღ „თბილისის“ პირველ ფილიალში.

როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, ასეთი ვითარება ხელს უწყობს სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის, სახელმწიფოს ხარჯზე ხელის მოთბობის პირობების შექმნას. ამ დროს კი ვაჭრობის სამინისტრო სათანადო კონტროლს არ ახორციელებს, რათა საქონლის ჩამოფასება და გაყიდვა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით მოხდეს.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო საქონლის ჩამოფასებასა და სეზონურ ვაჭრობაში არსებულ სერიოზულ დარღვევებს და მოსთხოვა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ საქმეში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად.

საქონლის ჩამოფასების სიების შედგენასა და სეზონურ გაყიდვაში სერიოზული დარღვევებისათვის კომიტეტის დადგენილებით რესპუბლიკური საავაჭრო ბაზის მმართველის მოადგილეს ლ. ფხიკაძეს, „თბილისტანსაცმელეკავჭრობის“ დირექტორის მოადგილეს რ. ჭკუასელსა და უნივერმაღ „თბილისის“ დირექტორს მოადგილეს დ. ბაკურაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და სახელმწიფოსათვის ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით დაეკისრათ: ლ. ფხიკაძესა და დ. ბაკურაძეს სამ-სამი თვის, ხოლო რ. ჭკუასელს ორი თვის ხელფასის შესაბამისი თანხის გადადება. სასტიკი საყვედური გამოეცხადა და ორი თვის ხელფასის გადადება დაეკისრა გაგრის „კურორტეკავჭრობის“ დირექტორს ს. ღურწკაიას.

სამემსრულებლო დისციპლინის დარღვევის, მუშაობაში ხარვეზებისა და საქმის გაჭიანურებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოთხოვნის, შესწავლისა და მიწოდების განყოფილების გამგეს მ. დემურიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ ხაშურის „ქალაქვაჭრობის“ დირექტორი თ. ძინძიბაძე პარტიის ხაშურის რაიკომის ბიუროს დადგენილებით განთავისუფლებულია თანამდებობიდან. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა სამრეწველო ვაჭრობის განყოფილების უფროსის მოადგილეს ლ. კანდელაკს ჩამოფასების დაქვემდებარებული და ფასდაკლებული გასაყიდი საქონლის სიის სწორად შედგენისადმი უკონტროლობისათვის გამოეცხადა საყვედური.

ᲐᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ

საერთო წესია, რომ ყველა ახალი მექანიზმი და მოწყობილობა, მიიღებენ თუ არა, დროულად, შეუფერხებლად უნდა დიდდეს და ამოქმედდეს. ამ საქმისადმი ონის რაიონის სახალხო კონტროლიორთა სისტემატურმა კონტროლმა მკვეთრად გააუმჯობესა მანქანა-დანადგარების შწარმოებლობა, აამაღლა მათი გამოყენების დონე, რამაც რაიონის სახალხო მეურნეობას თვალსაჩინო ეკონომიკური ეფექტი მისცა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი ტექნიკის დადგმისა და გამოყენების თვალსაზრისით რაიონში ყველაფერი რიგზე იყოს.

სახალხო კონტროლისა და კომკავშირული პროექტორის შტაბის წევრების ერთობლივმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთი მექანიზმი და დანადგარი, ათიათასობით მანეთი რომ ღირს, წლების მანძილზე საწარმოს საწყობში უქმად დგას, არაფერს ქმნის, ფუჭდება და იქანგება. იგი არავითარ უკუგებას არ იძლევა, პირიქით დროთა განმავლობაში თანდათან მორალურად ბერდება და უსარგებლო ხდება. დანადგარებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება კი დიდ უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკის მაჩვენებლებზე, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს შრომის ნაყოფიერებას.

კონტროლიორებმა რაიონის თვრამეტი საწარმო შეამოწმეს, აქედან ყოველ მეორე საწარმოში აღმოჩნდა დაუდგმელი მოწყობილობა-დანადგარი. აი ეს საწარმოები:

ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოში (უფროსი ნ. რუხვიაშვილი) ჯერ კიდევ არ დაუმონტაჟებიათ ძვირად ღირებული ხიდური ამწე, რომელიც აქ შარშან მიიღეს, ცდება ძვირფასი მექანიზმი, ზარალობს საწარმო. აქვე დიდი ხანია უმოქმედოდაა სტაციონარული ლენტური კონვეიერი და მძლავრი სამსხვრეველი. ამ სამი დანადგარის საერთო ღირებულება სოლიდურ თანხას — 26720 მანეთს შეადგენს.

რაიონული საავადმყოფოს (მთავარი ექიმი ა. ქებაძე) საწყობში კონტროლიორებმა ნახეს სამი დანადგარი, რომლებიც დიდი ხნის წინათ არის მიღებული. აქ უმჯობდგას ორი ცალი ცენტრიფუგა. ერთი მათგანი ჯერ კიდევ 1976 წელს არის მიღებული, მეორე კი — 1981 წელს. საავადმყოფოში დაუდგმელი და გამოუყენებელია ათი წლის წინათ შემოტანილი სტომატოლოგიური კაბინეტის უნიკალური რენტგენის აპარატი. მზრუნველ ხელს ელოდება აგრეთვე გაზზე მომუშავე ორი ღუმელი.

მდგომარეობა არც ადგილობრივი მრეწველობის კომბინატშია კარგად. ამ საწარმოს საწყობებში 44 ათასი მანეთი ღირებულების დაუდგმელი სხვადასხვა მოწყობილობა აწყვია.

გუშაგებმა რაიკოოპერატივის გამგეობის (თავმჯდომარე ნ. მაისურაძე) საწარმოებშიც შეიხედეს. აქ 9 წლის წინათ მიუღიათ 8200 მანეთიანი საავაჭრო პავილიონი, მაგრამ მისი დადგმა ვერ მოუხერხებიათ. უპატრონოდ და უმეთვალყურეოდ მიტოვებული პავილიონი ახლა მთლიანად გაძარცულია, მას ბევრი საჭირო დეტალი აკლია. კოოპერატორებმა შარშან ადგილზე მოიტანეს დიდი ტევადობის ბენზინის ავზი. მაგრამ დღემდე ვერც მას მიუჩინეს ბინა.

მანქანა-დანადგარების დადგმას უდიერად ეკიდებიან აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მესვეურები. უწერის საბჭოთა მეურნეობაში არავინ ზრუნავს ბენზინის გასამართი სვეტის დასამონტაჟებლად, რომლის შესაძენად მეურნეობამ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა. ბენზინისა და დიზელის საწვავის ახალი სვეტები დასადგმელია აგრეთვე შეუბნისა და პიპილეთის საბჭოთა მეურნეობებში.

კარგი იქნება, თუ ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ყურად იღებენ კონტროლიორთა შენიშვნებს და რაც შეიძლება მალე გამოასწორებენ მათ. რაც უფრო აღრე მოხდება ეს, მით უკეთესია. გამოუყენებელი, დაუდგმელი მანქანა-მოწყობილობა ხომ დიდი რეზერვია და მას ამოქმედება, წარმოების სამსახურში ჩაყენება სჭირდება.

Თ. ᲪᲘᲠᲘᲙᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲔᲡᲔᲪ ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲐᲐ?

ᲭᲘᲣᲑᲣᲚᲘᲡ ზონის სახალხო კონტროლიორები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და აყირათიანი ხარჯვის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებების განუხრელად შესრულების შემოწმებას.

როგორც გამოირკვა, განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქალაქის ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში მაინც არის ელექტროენერგიის უზარო ფლანგვა და სათბობი რესურსების გადახარჯვა. ყველაზე სავალალო ის არის, რომ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ასეთი გადახარჯვა გამოწვეულია არა პროდუქციის გამოშვების გადიდების, არამედ იმის გამო, რომ ბევრგან მოუგვარებელია ელექტრომეურნეობა, წესრიგში არა აქვთ საწვავსაპოხ ნივთიერებათა შესანახი საწყობები. ზოგიერთ საწარმოს ვერ მოუგვარებია ელექტროენერგიის მრიცხველის დადგმაც.

ელექტროენერგიის გადახარჯვის სავალალო მაჩვენებლებით დაიწყეს ახალი ხუთწლედის პირველი წელი ქალაქის ზონის ტერიტორიაზე განლაგებულმა რკინიგზის მუშათა მომარაგების განყოფილების სასადილოებმა და მაღაზიებმა. ამ კვების ობიექტების შემოწმების დღეს მათ არ ჰქონდათ ელექტროენერგიის ხარჯვის დადგენილი ლიმიტი. ამასთან ერთად მოუწესრიგებელია აღრიცხვა, არ არის დადგმული ელექტრომრიცხველები, ამიტომ ელექტროენერგიის დანახარჯს ანგარიშობენ დანადგარების ტექნიკური სიმძლავრის გათვალისწინებით, რაც ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. 1986 წლის პირველ კვარტალში დაუგეგმავმა ხარჯმა 78 ათას კილოვატსაათს გადაჭარბა.

არარეალურად არის განსაზღვრული ელექტროენერგიის მოხმარების გეგმა ქალაქის კომუნალურ საწარმოთა კომბინატში. აქ პირველ კვარტალში ელექტროენერგიის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა მხოლოდ 5,1 ათასი კილოვატსაათი, ანუ ხუთჯერ ნაკლები, ვიდრე ეს ლიმიტით არის დაშვებული. სრულიად მოუწესრიგებელია საცხოვრებელ ბინებში მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა.

სათბობ-საწვავის ეკონომიური ხარჯვის საქმე მოუწესრიგებელია „ტყიბულგაზის“ სამმართველოში. შემოწმების დროს საწყობს დააკლდა 121 ლიტრი ბენზინი. აქ სხვადასხვა მარკის ბენზინი ერთმანეთშია შერეული. საქმე ის არის, რომ საწარმოს ბენზინის ერთადერთი ცისტერნა აქვს. მძღოლებს ბენზინს აძლევენ დაუკალიბრებელი ჭურჭლით. ზოგიერთ ავტომანქანაზე არ მუშაობს სპიდომეტრი. ამიტომ არის, რომ საგზაურ-ფურცლებში გარბენილ კილომეტრებს წერენ არა სპიდომეტრის ჩვენებით, არამედ სამარშრუტო რეისების სიგრძის მიხედვით. საგზაურ-ფურცლების ყველა რეკვიზიტი არ არის შევსებული სრულყოფილად. ზოგიერთ საგზაურში ჩანაწერება გადასწორებულია.

სარაიონთაშორისო ნავთობბაზაში ზოგჯერ სწორედ არ აღრიცხავენ ბენზინის ნაშთებს. ბენზინის ბასამართ სადგურში შემოწმებისას ხშირია საწვავისა თუ ფულის დანაკლისი.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უსაფუძვლო დანაკარგების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომების მიუღებლობისათვის წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები მკაცრად დაისჯნენ.

Თ. ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲘᲡᲕᲐ, ᲠᲐ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ

მრავალი საყურადღებო კრიტიკული შენიშვნა თუ წინადადება წამოაყენეს ამა წინათ გამართულ მშრომელთა კრებებზე, რომლებიც სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნებს მიეძღვნა, ბევრ მათგანზე დროული რეაგირება ადგილებზე გახდა შესაძლებელი, ხოლო ისეთები, რომელთა გადაწყვეტისათვის აუცილებელი იყო რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ჩარევა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეკრიბა, შესაბამის ორგანიზაციებს აცნობა და სთხოვა მათი გადაწყვეტისათვის სათანადო ღონისძიების განხორციელება.

ვაქვეყნებთ ზოგიერთ ასეთ შენიშვნა-წინადადებას და მიღებულ პასუხს.

მეტად დაბალია ჩაის მკრეფავთა სპეციალიზაციის ხარისხი, — აღინიშნა ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა კრებაზე, — მეჩაიეთათვის კოსტიუმებს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემუშავებული მოდელების მიხედვით ზუგდიდის სამკერვალო ფაბრიკა—ქუთაისის ს. კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების ფილიალი კერავს. მისი ათვისება ფაბრიკამ შარშან წლის ბოლოს დაიწყო, ამიტომაც იყო საწარმოო დეფექტიანი პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

საქართველოს სამკერვალო საძრეწველო გაერთიანებამ ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილა სპეციტანსაცმლის გამოშვების საკითხი. შემუშავდა საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ხარისხზე ოპერაციათაშორისო და საბოლოო კონტროლის გაძლიერებას, სამუშაო ადგილების ატესტაციის შედეგად შემუშავებული ღონისძიებების დროული რეალიზაციის უზრუნველყოფას, შრომის ანაზღაურების ბრიგადული ფორმის სრულყოფასა და სხვ. ამავე დროს ფაბრიკაში ტექნიკური დახმარებისათვის სისტემატურად მივავლენთ მთავარი ინჟინრისა და მთავარი მექანიკოსის სამსახურების წამყვან სპეციალისტებს.

ამასთან 1987-1988 წლებში გათვალისწინებულია კოსტიუმეულების წარმოების კომპლექსურ-მექანიზირებული ხაზის დაერგვა, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებასა და 10-15 პროცენტით შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

Გ. ᲒᲔᲒᲘᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო საძრეწველო გაერთიანების უფროსი.

სასკოლო სახელმძღვანელობები ცუდი აკინძულია და უდებიც ძალზე დაბალი ხარისხისაა, — ითქვა ვანის რაიონის სალხინოს საშუალო სკოლაში გამართულ კრებაზე.

მიმდინარე წელს გამსახკომმა განახორციელა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი წიგნის პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საამკინძაო პროცესების გაუმჯობესებას. წელს წიგნის ფაბრიკაში დამონტაჟდა და ექსპლოატაციაში შევიდა გერმანული წარმოების ახალი ნაკადური ხაზი „კოლბუსი“, აქვე მიღებულია ფირმის საწნეხი მანქანა, რომელიც წლის ბოლომდე ამოქმედდება, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში დამონტაჟებულია საამკინძაო ხაზი „წიგნი“, ქუთაისის პოლიგრაფიულ საწარმოთა გაერთიანებაში მონტაჟდება საამკინძაო აგრეგატი და ახალ ყდაში ჩამსმელი მანქანა. ყოველივე ეს მკვეთრად გაუმჯობესებს წიგნის გარეგნულ სახეს და გაზრდის მის გამძლეობას.

ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად შემუშავებულია 1985-1990 წლებში საწიგნე-საკანცელარიო პროდუქციისა და განსაკუთრებით სკოლის სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა.

საქართველოს სსრ გამსახკომი თანამიმდევრულად ახორციელებს დასახულ ღონისძიებებს.

რ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ,
საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲣᲧᲐᲘᲠᲐᲗᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲚᲘ

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲚᲘᲫᲕᲔᲚᲘᲜᲘ

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ პერიოდში კავთისხევის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მზადყოფნის მდგომარეობა შევისწავლეთ კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიისა და „კომკავშირული პროექტორის“ რაიონული შტაბის წარმომადგენლებთან ერთად. ისეთი შთაბეჭდილება შეგვქმნა, რომ საწარმოს მესვეურები დიდად არ ზრუნავენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი ხარჯვისათვის.

ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ დროულად არ დააყენეს განათების ჩასართავი რელეები, რაც ქარხანას სულ ცოტა 4,5 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას დაუზოგავდა. ასევე გაჭიანურეს ელექტროენერგიის ხარჯვაზე რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა, რომელთა შედეგად ეკონომიური ეფექტი წელიწადში 16 ათას მანეთამდე აქნებოდა. ქარხანაში ორთქლის ავტომატური მიწოდების სისტემა, რომელიც ორთქლის ხარჯვას 14 პროცენტით შეამცირებდა, თბოტრასების გარკვეული მონაკვეთი შეუფუთავია. მნიშვნელოვან თბოენერგიას დაზოგავდა ადმინისტრაციული კორპუსის, საამქროების, ამწეების შეძინება.

რა მომჭირნეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ქარხნის ხელმძღვანელებმა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმირების აღრიცხვისა და ანგარიშგების ფაქტობრივი მაჩვენებლებიც კი ვერ წარმოადგინეს. ენერგომეურნეობის ტექნიკური გაუმართაობის გამო აქ ვიზუალურად ხდება ორთქლისა და მაზუთის ხარჯვის დადგენა. საქვაბეებში არ დგას ორთქლის ხარჯვის მრიცხველები, მფრქვეველების უქონლობის გამო მხოლოდ ერთ ღუმელს ამუშავებენ, საშრობი საკნების ცუდი ჰერმეტიზაციის გამო კი 9 თვეში დაახლოებით 900 გიგაკალორია თბოენერგია დაიკარგა. ორთქლი გასდის ონკანების მნიშვნელოვან ნაწილს, ყოველივე ამის მიუხედავად, ორთქლის კონდენსატის გარკვეული რაოდენობა მაინც ბრუნდება საქვაბეში, მაგრამ იქ იკარგება მიმღები რეზერვუარის თავღიად დატოვების გამო. მოუგვარებელია საღუმელე საწვავის ხარჯვის კონტროლი და აღრიცხვა. აქ კუსტარულად ხდება მაზუთის ნამთების ინვენტარიზაცია, რადგან არ გააჩნიათ სპეციალური საზომი ჭოკები და საკალიბრო ცხრილები. ყოველივე ამის გამო ორთქლისა და მაზუთის ხარჯთაღრიცხვას აფგენენ არა ფაქტობრივად დახარჯულის, არამედ დანადგარების სპასპორტო მონაცემების მიხედვით.

საქმისადმი უკონტროლობისა და გულგრილი დამოკიდებულების მიზეზით მოხდა, რომ 1984-1985 წლებში ციხისერნების ჩამოცლის ორმოს დაღრეკვა 5 ტონა ბაზუთი, რომლის ანაღაღი ძალიან მტკვარი გაკეთებულია. ამის გამო ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ქარხანა 77920 მანეთით დააჯარიმა.

სუსტია კონტროლი საწვავ-საპოხი მასალების მიღება-ბარჯვისადმი. არ გაჩნიათ ბენზინის ჩამოსასხმელი აპარატი, საწვავს რეზინის მილით ან სხვა დაუკალიბრებელი ჭურჭლით გასცემენ. ბუღალტერიას ზედმეტად აქვს ჩამოწერილი არარსებული 181 მანეთის მასალები. საგზურებში ხელოვნურად არის გაზრდილი გარბენილი კილომეტრები, ბევრი მაჩვენებელი გადასწორებულია. ქარხანაში არც ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მუშაობისათვის საწვავ-საპოხი მასალების მარაგის შექმნისათვის უზრუნველათ, სამი თვის წინ მიღებული რეზერვუარის მონტაჟი მხოლოდ ახლახან დაიწყეს.

ქარხანაში არც იმას აღრიცხავენ, თუ რამელმა საამქრომ რაოდენი ელექტროენერგია დახარჯა. საერთოდ, ქარხნის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიის აკონტროლებენ არსებული ოთხი ქვესადგურის მრიცხველების მიხედვით. თუ რამდენად „ზუსტია“ ასეთი აღრიცხვა, ერთ ფაქტს დავიმოწმებთ: მე-2 ქვესადგურის ელექტრომრიცხველი ელის დისკო უკუღმა ბრუნავდა და ამით ხელოვნურად ამცირებდა ხარჯვის მაჩვენებლებს (?!)

ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით 1986 წელს არ დადგმულა არც ერთი ახალი დანადგარი. სათანადო მოწყობილობების უქონლობის გამო არ ხდება რეალიზაცია.

შემოწმებამ ისიც ცხადყო, რომ ქარხანაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვა აღრიცხება ფაქტობრივად გამოშვებული პროდუქციისა და დამტკიცებული ნორმების მიხედვით, რაც სწორი არ არის და ქმნის მისი ხელოვნური შემცირებისა და „საქკურორტმშენის“ ტრესტის მიერ დამტკიცებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან გასწორების საშუალებას.

წამატებებისა და თვალისსაჩვენის ფაქტები გამოვლინდა სტატისტიკურ ანგარიშებში. ერთეულ პროდუქტზე სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯი გაზრდილია სამჯერ, ასე რომ სტატისტიკის ანგარიშებში ნაჩვენები ეკონომია რეალური არ არის.

ყოველივე ეს კი ნათლად მეტყველებს კავთისხევის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი დარგების მუშაკთა უპასუხისმგებლო, უყაირათო დამოკიდებულებაზე ისეთი დიდმნიშვნელოვანი რესურსებისადმი, როგორიც სათბობ-ენერგეტიკული რესურსებია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არსებული მდგომარეობა იმის ბრალიც არის, რომ ქარხნის არსებობის 6 წლის მანძილზე 5 დირექტორი შეიცვალა (მეხუთე სწორედ ამ შემოწმების დროს გადაიყვანეს სხვა სამუშაოზე).

კასპის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა იმსჯელა შემოწმების შედეგებზე და დასახა ღონისძიებები გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ამ საქმეში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად. კომიტეტის დადგენილებით ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი გ. გერმისაშვილი გადაყენებულია თანამდებობიდან, მთავარი ინჟინერს ნ. ნადარეიშვილსა და მთავარ მექანიკოსს გ. ლომსაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ხოლო მთავარ ბუღალტერს მ. ედიშერაშვილს — საყვედური.

Ზ. ᲥᲐᲠᲣᲛᲘᲫᲔ,
კასპის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲒᲕᲐᲢᲭᲝᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

თბილისი. ძალზე ცუდად აქვს მოწყობილი რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის გატანის საქმე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს „ფუნდამენტმშენს“. მაგალითად, ბათუმის სადგურის სატვირთო ეზოდან მარტსა და აპრილში შესაბამისად გასატანი დატოვა 1760 და 1560 ტონა ტვირთი. რისთვისაც რკინიგზამ მას ტვირთის შენახვისათვის 102710 მანეთი დაარიცხა.

მე-2 ტრესტის პირველმა სამშენებლო სამმართველომ კი 1985 წლის დეკემბრიდან წლევანდელ მაისამდე თბილისის სატვირთო სადგურის ტერიტორიაზე მიატოვა 11,2 კუბური მეტრი რკინაბეტონის პანელები, რისთვისაც ჯარიმად 15 ათასი მანეთი გადაიხადეს.

ასეთი უყაირათობისა და უპასუხისმგებლობისათვის თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა გაერთიანება „ფუნდამენტმშენის“ უფროსის მოადგილეს ლ. კაკაბაძესა და მე-2 ტრესტის პირველი სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ფ. სამსონიას გამოუცხადა სასტიკი საყვედური და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით ორ-ორი თვის ხელფასის გადახდა დააკისრა.

• • •

ᲧᲕᲐᲚᲐᲢᲣᲑᲘ. „საქაგრომშენის“ მე-2 ტრესტის 57-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის მესვეურებმა სამუშაოზე მეორე თანრიგის მუშად მიიღეს კურორტვაჭრობის თანამშრომელი დაზე ქუთათელაძე. ჯერ ერთი, ეს არ შეუთანხმეს კურორტვაჭრობის ხელმძღვანელობას და, მეორეც, ახალ მუშაკს ხელფასს უწერდნენ მაშინაც კი, როცა იგი ფაქტობრივადაც და ფიზიკურადაც ძველ ადგილას მუშაობდა.

1984 წლის 3 იანვრიდან 1986 წლის 15 ივნისამდე დ. ქუთათელაძის გამომუშავება მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში საშუალოდ 280 მანეთს უდრიდა, ნაკლებს არც კურორტვაჭრობაში იღებდა. ზოგიერთ თვეში კი ორივეგან განსაკუთრებით დიდი ხელფასი იწერებოდა. მაგალითად, შარშან აგვისტოში კურორტვაჭრობიდან 428 მანეთი მიიღო, მეორე სამსახურიდან კი 254 მანეთი და რამდენიმე კაპიკი. ნოემბერ-დეკემბერში კურორტვაჭრობაში 453 მანეთი გამოიმუშავა, მშენებლობაზე კი 660 მანეთი გამოუწერეს.

საერთოდ კი, როგორც შემოწმებით დადგინდა, დ. ქუთათელაძეს სრულიად უშრომლად 1213 მანეთი გამოუწერეს. თუ რატომ და რისთვის მოხდა ეს, ამაზე პასუხი მშენებლობის თავკაცებს უნდა გაეცათ და ასეც მოხდა:

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის დადგენილებით ორგანიზაციაში სახელმწიფო წესრიგის დაუმყარებლობისა და სახელმწიფო თანხების ხარჯვისადმი უკონტროლობისათვის მშენებლობის უფროსი ი. მაისურა

საბჭოთა ხალხი
ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ისტორიული ინფორმაციის ბიულეტენი

საბჭოთა ხალხის სიამაყე და დიდება

(დასასრული)

და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ვეტერანთა მონაწილეობის გამომდგარი ფორმები, აგრეთვე ავამოქმედოთ ახალი ფორმები. ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ახალი საკავშირო ორგანიზაცია. მისი შექმნით თითქმისდა უნდა დამთავრდეს ვეტერანთა მოძრაობაში მიმდინარე ორგანიზაციული პროცესები და ამასთან ამ მოძრაობას მიეცეს ახალი პერსპექტივები.

ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები ჩამოყალიბებულია პარტიის ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებაში. წინა პლანზე დგება ის, რომ უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილების ადამიანები ვაზიაროთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმეებს, და უწინარეს ყოვლისა მოზარდი თაობების აღზრდას. ვეტერანთა ორგანიზაციამ კვლავაც ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ეს არის სოციალისტური სახალხო ხელისუფლების პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელოვანი მიმართულება.

ვეტერანთა დიდი უმრავლესობა დაუცხრომელი, საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერი, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი ადამიანები არიან. ზოგ-ზოგგებს, განსაკუთრებით იმათ, ვინაც არ სურს თავი შეიწუხოს საზრუნვით, არ მოსწონს მათი გამახვილებული პრინციპულობა და მოუსვენრობა. ვეტერანთა ორგანიზაციამ უნდა დაამსხვრიოს. ვეტერანთა საქმიანი წინადადებებისა და მსჯელობისადმი გულგრძნობის ყინული, მიაღწიოს, რომ უფროსი თაობის ადამიანები საჭირო მხარდაჭერას იღებდნენ. ამ საქმეში შეიძლება ყოველივეს იქონიონ პარტიულ ორგანიზაციათა დახმარების იმედი.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომისა და შრომის ვეტერანთა მონაწილეობა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და შრომითს აღზრდაში, მათ იდეიურ-ზნეობრივ წრთობაში დღეს უფროს თაობათა ადამიანების მთავარი მოქალაქეობრივი ვალია. ეს გასაგებია. რომ ეს მუშაობა უნდა ვაწარმოთ კომკავშირთან, ყველა იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას თან მჭიდრო კონტაქტები, რომლებსაც კავშირი აქვთ ამ დიდ საქმესთან.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება პარტიისა და სახელმწიფოს უპირველესი მიზანია, ჩვენი საზოგადოების ყოველსმომცველი ამოცანა, ყველასი და თითოეულის საქმეა, თქვა შემდეგ ორატორმა. უდავოა, რომ ყველა ვეტერანისთვისაც ეს უდიდესი პატრიოტული საქმეა, რომელსაც შეუძლიათ გარკვეულწილად შეუწყონ ხელი.

ჩვენს ქვეყანაში დაწესებულია ყველაზე დაბალი საპენსიო ასაკი, მილიონობით ადამიანი, მისი გადამეტების შემდეგ, ინარჩუნებს არა მარტო შესაშური შრომისუნარიანობას, არამედ შრომის სურვილსაც. ასეთი შრომითი საქმიანობისათვის ვეტერანებს კარგი პერსპექტივები აქვთ სხვადასხვა სფეროში — მრეწველობასა და მშენებლობაში, ტრანსპორტზე და მომსახურეობის სფეროში, სახალხო მოხმარების საქონლის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და სხვა დარგებში. მომუშავე პენსიონერთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება, საწარმოების, საკადრო სამსახურების, პროფკავშირული კომიტეტების ხელმძღვანელები რომ სრულად იყენებდნენ არსებული კანონმდებლობის შესაძლებლობებს, უფრო მოქნილად, გაზრებულად უდგებოდნენ მათი შრომის ორგანიზაციას, ეხმაურებოდნენ ხანდაზმული ადამიანების სურვილებსა და შესაძლებლობებს.

მომხსენებელმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა სპეციალიზებული საამქროების, უბნების, წარმოებების შექმნა, ვეტერანთა ფართოდ ჩაბმა კოოპერაციულ, ოჯახურ, პირად საფუძველზე შრომაში, შინ მუშაობაში.

საზოგადოებისათვის პენსიონერთა შრომა დამატებითი მუშახელიც არის და თვით ვეტერანის პიროვნების შენარჩუნებისა და განვითარების, მისი აქტიური დღეგრძელობის საშუალებაც. ადამიანს, რომელსაც სიყრმიდან-ვე შეუთვისებია კოლექტივისტური საქმიანობის წესი, სიცოცხლის ბოლო პერიოდშიც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ხორცი შეასხას თავის მისწრაფებებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით და აქ სრულიად საკავშირო ორგანიზაციას, მის შესაბამის კომისიებს აქტიური როლის შესრულება შეუძლიათ. თითოეული ადამიანის შრომითი და სულიერი პოტენციალი მოლიანად უნდა ემსახურებოდეს საშობლოს.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ახალი ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ზრუნვა ვეტერანთა მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებისათვის. იმ პირობებში, როცა მიმდინარეობს საბჭოთა საზოგადოების გაჯანსაღების პროცესი, როცა ჩვენი დევიზი გახდა: მეტი სოციალიზმი, და მაშასადამე, მეტი ჰუმანიზმიც, ყველგან და ყველაფერში, მოხუცებისათვის ზრუნვა, ვეტერანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება პარტიის ძლიერი სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ფუძეა. ბოლო ხანს პარტიამ და მთავრობამ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ვეტერანების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მათი დასვენებისა და სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის, დამსახურებული შეღავათებისა და უპირატესობების გადიდების შესახებ. იზრდება პენსიების მინიმალური ოდენობა, დაწესდა გადიდებული დანამატები ხანგრძლივი საერთო და უწყვეტი შრომითი სტაჟისათვის. ახლა მზადდება ახალი კანონი შრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს შრომის ვეტერანების ცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებას, აგრეთვე საზოგადოებრივ წარმოებაში მათი უფრო აქტიური მონაწილეობის სტიმულირებას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ვეტერანების დახმარების მასშტაბი მით უფრო დიდი და შესამჩნევია, რაც უფრო აქტიურად მონაწილეობენ ამ მუშაობაში ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირული კომიტეტები, საზოგადოებრიობა. ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაცია ინიციატივიან, პრინციპულ პოზიციებს უნდა იკავებდეს პენსიონერების საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების. გაუმჯობესებასთან, მათი თავისუფალი დროის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ზრდასრულ ერთობ რთულია ხოლმე იმ ადამიანის ადაპტაციის პრობლემა, რომელიც აქტიური შრომითი საქმიანობიდან პენსიონერის ცხოვრების წესზე გადადის. აქ განსაკუთრებით საჭიროა ამხანაგური თანადგომა. არავინ გამოგვრჩეს — ასეთი უნდა გახდეს ვეტერანთა ორგანიზაციის დევიზი. მხარდასაჭერია საორგანიზაციო კომიტეტში მოსული წერილებში გამოთქმული წინადადებები, რომ უფრო ინტენსიურად უნდა შეიქმნას ვეტერანთა კლუბები ან სახლები.

შეეხო რა ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა, საორგანიზაციო კომიტეტის უყურადღების ცენტრში იყო ორგანიზაციის ფუძემდებელი დოკუმენტის — წესდების პროექტის შემუშავება. ამ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, მასში მონაწილეობა მიიღო ყველა ოლქისა და მოკავშირე რესპუბლიკის ათობით ათასმა ვეტერანმა.

ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის საქმიანობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უწელმძღვანელებს. ორგანიზაციას ეძნება ყველა უფლება, რომლებსაც სსრ კავშირის კონსტიტუცია ანიჭებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. იგი შეძლებს იმუშაოს ვეტერანთა საზოგადოებრიობის შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე, ჰქონდეს თანამშრომლობით სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მის საფუძველს შეადგენენ ვეტერანთა საბჭოები, რომლებიც შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იქმნება. ვეტერანთა არსებული ფორმირებები ვეტერანთა ერთიანი ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდნენ და მისი წესდებით ხელმძღვანელობდნენ.

საკავშირო ორგანიზაციის შექმნა სახავს მომძე სოციალისტური ქვეყნების ვეტერანთა ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის განვითარების, მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით ომისა და შრომის ვეტერანთა სხვა საზღვარგარეთულ საზოგადოებრივ ფორმირებებთან კონტაქტის დამყარების ახალ გზებს.

ახლანდელი დრო — რთული და დაძაბული დრო — მოითხოვს ყველაზე აქტიურ და პასუხისმგებელ მოქმედებას მშვიდობის დასაცავად. ომახიანად და ავტორიტეტულად უნდა ყიჟინდეს საბჭოთა ვეტერანების მოწოდება აგრესიისა და ომების პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხთა შორის ნდობის, ურთიერთგაგების ატმოსფეროს დამყარებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას, თქვა დასასრულ გ. პ. რაზუმოვსკიმ, ხალხის სოციალისტური თვითმოქმედების კიდევ ერთი აქტიური რგოლი ემატება. ახალ ორგანიზაციას წინ ბევრი დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები საქმე ელის.

შემდეგ დაიწყო კამათი.

ტრიბუნაზეა სოციალისტური შრომის გმირი, ომისა და შრომის ვეტერანთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **პ. დ. ბორდანენი.** ჩამოშსმეული, პირველი ხუთწლედის დამკვრელი, იგი 20 წელს მეთაურობდა სახელგანთქმული ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის კოლექტივს. მას ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის პარტიული სტაჟი აქვს. ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილება, ენერგია, თქვა მან, კიდევ უფრო მეტი სარგებლობით უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას. ცოტა როდია დაუმშვიდებლობის, აქტიურობის მაგალითი. ვრცელია პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებულ საბჭოში გაერთიანებულ მოსკოველ ვეტერანთა საზრუნავის ასპარეზი. ეს არის მონაწილეობა შრომითი კოლექტივების საწარმოო და სოციალურ პრობლემათა გადაჭრაში, ახალგაზრდობის აღზრდა, დისციპლინის განმტკიცება, ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, ორატორის აზრით, სწორი იქნებოდა ორგანიზაციის წესდებაში გათვალისწინებული იყოს ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისას ვეტერანთა ცოდნის გამოყენების, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში მათი ჩაბმის შესაძლებლობა.

კონკრეტული საქმეებით ვლინდება საბჭოთა ხალხის სხვადასხვა თაობის ურღვევი კავშირი, თქვა ლენინგრადის საბჭედრო-საზღვაო ფლოტის ომის ვეტერანთა „ავრორას“ ექსპოზიციის შესავლებად. თავის მხრივ, რევოლუციის კრეისერის აღდგენის სამუშაოებს შეფობს ლენინგრადის კომკავშირი. ორატორმა თქვა, რომ „ავრორას“ კაპიტალური რემონტი ზუსტად გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის იგი დაიკავებს თავის ადგილს ნევაში.

დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებსა და მონაწილეებს მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ს. ა. შალაევი.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა პროფკავშირები ახალი ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის არიან, რომლის მიზნები, ამოცანები და სტრუქტურა შეესაბამება თითოეული საბჭოთა მოქალაქისა და მთელი ჩვენი საზოგადოების ინტერესებს. იქმნება იმის პირობები, რომ არცერთი ვეტერანი არ დარჩეს თვალთახედვისა და ყურადღების გარეშე. პროფკავშირთა და ახალი ორგანიზაციის აქტივისტთა შემდგომი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ასპექტია საკითხთა კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია ცხოვრების პირობების, სამედიცინო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, დასვენების ორგანიზაციის გაუჯობესებასთან.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მწერალმა **ი. თ. სტადნიუკმა** ილაპარაკა მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, რომლებიც ომისა და შრომის ვეტერანებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ ახალგაზრდობის აღზრდაში. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წიგნები დიდი სამამულო ომის შესახებ, რომლებიც ხოტბას ასხამენ საბჭოთა ხალხის უკვდავ გმირობას ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი ფურცლებიდან წარმოგვიდგება ჯარისკაცთა და სერჟანტთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა, ზურგის მშრომელთა მკაფიო სახეები, რომლებიც განასაზღვრებენ საბჭოთა საშობლოს ერთგულებას, ვაჟკაცობასა და თავგაწირვას ლენინის იდეებისათვის. ომის ამსახველ თითოეულ ნაწარმოებს მშვიდობისათვის მოწოდებად მიიჩნევენ მწერლები, რომლებიც საჭიროდ თვლიან გვესაუბრონ უმთავრესზე, რაც კაცობრიობისთვის მოაქვს ომს.

აუდიტორიაში, თქვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა არმიის გენერალმა **ა. დ. ლიზიჩევმა.** როცა დარბაზს უყურებ, უნებურად ფიქრობ იმაზე, თუ რა ულევი სიმდიდრე აქვს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ლენინურ პარტიას. სამხედრო ენაზე რომ ვთქვათ, თქვენ აქ წარმოადგენთ სახელოვან და მტკიცე გვარდიას, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო იმათი ძვირფასი გამოცდილება და სულიერი სიმდიდრე, ვინც იდგა დიდი ოქტომბრის სათავეებთან, რომლის სამოცდაათი წლისთავის აღნიშვნისთვისაც ვემზადებით. სწორედ ამიტომ დღეს ვეტერანებს მივაკუთვნებთ უფრო აქტიურ როლს ჩვენი არმიის, მისი პირადი შემადგენლობის ჰეროიკულ-პატრიოტულ აღზრდაში.

ტრიბუნაზეა რიგის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ვეფის“ ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ფ. სილინია.** მან დამსწრეთ გაუზიარა ლატვიის სსრ ვეტერანთა საზოგადოებრივი ფორმირებების მუშაობის გამოცდილება. ორატორის აზრით, ახალი საზოგადოების წესდების პროექტში სწორად არის დასმული ამოცანა, რომ პენსიონერები ჩაიბან შეძლებისდაგვარ შრომითს საქმიანობაში. ამის აქტუალურობა და მიზანშეწონილობა დასტურდება „ვეფის“ მაგალითით, სადაც სამი ათასზე მეტი ვეტერანი შრომობს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კოლექტივის ცხოვრებაში, საწარმოო და სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში.

„მინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის“ საწარმოო გაერთიანების ზეინკალ-მეინსტრუმენტემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ე. ი. კლიმჩენკომ** თქვა, რომ საჭიროა გულისხმიერად ვეკიდებოდეთ ადაპტიანებს, რომლებიც დამსახურებულ პენსიაზე გავიდნენ. ჩაბარებს კაცი ქარხნის საშუალ, და რამდენიმე ხნის შემდეგ კოლექტივში ივიწყებენ მას. მის ცოდნასა და გამოცდილებას არ იყენებენ. ვფიქრობ, თქვა ორატორმა, კარგი იქნებოდა პრაქტიკაში შემოგვეღო, რომ ვეტერანი პენსიონერები რჩებოდნენ თავიანთ შრომითს კოლექტივებში პარტიულ და პროფკავშირულ აღრიცხვაზე, აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ მათი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, განვამტკიცოთ უფროსი და ახალგაზრდა თაობის კავშირი არა სიტყვით, არამედ საქმით.

ქალაქ კრასნოიარსკის რკინიგზის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ **ს. პ. ყოლჩინმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალაქის საბჭოთა, პარტიულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ომისა და შრომის ვეტერენთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუჯობესებისათვის მუშაობა-მიიჩნიეთ სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად გარდაქმნის პირობებში. ყველა ვეტერანი, განსაკუთრებით ინვალიდები, საშეფო აღრიცხვაზეა არიან ქალაქის სხვადასხვა საწარმოსა და დაწესებულებაში. დიდი ყურადღება ეთმობა მათ სანატორიულ მკურნალობას. ახლახან დამთავრდა ყველა მატერხელა ვეტერანის რეგისტრაციისათვის მუშობა, მათ ვუწევთ მუდმივ დახმარებას, კერძოდ, შინ სრული მომსახურებითაც. ახლა კრასნოიარსკის რაიონული საბჭოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა უახლოეს ხანში ომისა და შრომის ყველა ვეტერანი უზრუნველყოს ცალკე ბინით.

ჩვენს მიღწევებს ვერავინ წაგვართმევს, მაგრამ ახლა სხვანაირი ვითარებაა, სხვანაირი მოთხოვნები, ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა **გ. ა. წიოლელიმ.** ვეტერანებს არა მარტო შეუძლიათ, ისინი მოვალენიც კი არიან აქტიურად ჩაებან გარდაქმნისა და დაჩქარების პროცესში, ხოლო აქტიური მონაწილეობის მეთოდები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს — კეთილი რჩევაც და პირადი მაგალითიც. ამასთან თითოეული კაცის შესაძლებლობებს უნდა ვითვალისწინებდეთ. ორატორის აზრით, სოფლის მეურნეობაში ყველაზე უკეთესი მეთოდია ასაკოვანი ხალხის ჩაბმა ოჯახურ ან ინდივიდუალურ იჯარაში. კოლმეურნეობაში ასეთი მეთოდით ათასზე მეტი ვეტერანი მუშობს და ისინი მთელი პროდუქციის 20 პროცენტს იძლევიან.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა **ა. ს. ელეტოვმა** კონფერენციის დელეგატებს მოახსენა, რომ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ექვსმილიონიანი არმიის ნახევარზე მეტი დღესაც შრომობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდასა და საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის მის მომზადებაში. კეთილსინდისიერი შრომის შედეგად ბევრმა მათგანმა მიუმატა საბრძოლო ორდენებსა და მედლებს სამამული სახელმწიფო ჯილდოები. საბჭოთა ვეტერანებს, რომლებმაც გაანელეს სამოქალაქო და მეორე მსოფლიო ომების ჭარცეცხლიანი გზები, კარგად წარმოუდგენიათ, რა კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბირთვულ ომს. ამიტომ ისინი მხურვალედ იწონებენ ჩვენი პარტიის სამშვიდობო ინიციატივებს.

„ქმედითი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი ფიქრძელობის შენარჩუნების პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **ა. ვ. ტოკარმა** (კიევი). მან თქვა: რომ ასაკოვანი ხალხის ხანგრძლივი მონაწილეობა საწარმოო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნების დადმნიშვნელოვანი ფაქტორია. საამისოდ საჭიროა შრომის არსებითი გარდაქმნა არა მარტო ეკონომიკური და სოციალური, არამედ ფიზიოლოგიურად დასაბუთებული მეთოდების გათვალისწინებითაც.

მტკიცეა რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებთან ლენინური კომკავშირის ურთიერთობის ტრადიციები. აი ამიტომ მოვესალმებით ჩვენ მხურვალედ ომისა და შრომის ვეტერანთა სრულიად საკავშირო ორგანიზაციის შექმნას, განაცხადა თავის გამოსვლაში სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. მორონენკომ.** მან დაასახელა კონკრეტული საქმეები, სადაც ახალგაზრდობას განსაკუთრებით სჭირდება უფროსი თაობების დახმარება. პროფესიის ამორჩევა და შრომითს კოლექტივში შესვლა ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მომენტია. მუშის სპეციალისტიც და ოფიცრის კიტელიც მისთვის ღირსების მუნდირებად უნდა იქცნენ. განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ვეტერანებისა და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივ მუშაობას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მოსამზადებლად.

სიტყვა ეძლევა ყირგიზეთის სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის გმირს, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს **კ. უ. უსენბეკოვს.**

ახლანდელი ახალგაზრდა თაობა უფრო ხელსაყრელ ეკონომიკურ და კულტურულ პირობებში აღრდება, ვიდრე ჩვენ, თქვა მან. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის და ყველა როდი იცნობიერებს, ცოდნაზე რომ ადარაფერი ვთქვათ, ქვეყნის განვითარების ყოველი ეტაპის ისტორიას. ეს სერიოზული ხარვეზია ახალგაზრდობის აღზრდაში. ამიტომ სავსებით სწორია, რომ ჩვენი ახალი ორგანიზაციის წესდების პროექტში ამ საკითხს სერიოზული ყურადღება ეთმობა.

ჩვენს საწარმოში, თქვა საწარმოო გაერთიანება „ურალფეხსაცმლის“ გამომჭრელმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ა. დ. მარტიროსიანმ,** ჯუდმიგად შრომობს 350-ზე მეტი პენსიონერი. ან მეც სამი წლის წინ პენსიაზე გავედი, მაგრამ გული შინ ვეღარ დამიდგა და ორი თვის შემდეგ სამუშაო ადგილს დავუბრუნდი. ორმოც წელიწადზე მეტ ხანს ვიმუშავე ერთ საწარმოში, მთელი ამ წლების განმავლობაში ვცდილობდი დავხმარებოდი ახალგაზრდებს და დღესაც არ შეშინდა ისე ჩავუარო გვერდით ახალგაზრდა მუშაკს, რომ სიტყვით ან მაგალითით არ ვაჩვენო მას მუშაობის სწორი ხერხი, არ გამოვესაუბრო საქმეებზე, გუნება-განწყობილებაზე. ორატორმა მხურვალედ დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას ომისა და შრომის ვეტერანთა ერთიანი სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის შესახებ. მისი აზრით, ვეტერანთა საბჭოები საწარმოო-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით უნდა შეიქმნას.

ხუთჯერ დაიჭრა დიდი სამამულო ომის ბრძოლებში გადამდგარი გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი **ა. ვ. კაზარინინი.** ერთ-ერთ ფიცხელ ბრძოლაში ტანკშიც კი იწვოდა. ჩვენი მთავარი ამოცანა, თქვა მან, დღეს ის არის, რომ მთელ ჩვენს ხალხს დავეხმაროთ პარტიის მიერ დასახული ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის გარდასაქმნელად გამიზნული კურსის განმტკიცებაში, გავხადოთ ეს პროცესი შეუქცევადი. ვეტერანთა აქტიურობა დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ამ გზაზე. ჩვენ უნდა დავუსახოთ ორიენტირად აგრეთვე ახალგაზრდობას დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება, დავეხმაროთ მას გარდაქმნის რევოლუციური ხასიათის შეგნებაში. დღეს პარტია ქვეყანას ამოცანად უსახავს იმას, რომ გახდეს სანიმუშო საზოგადოება, რომელიც იბრძვის ყველა ადამიანის უკეთესი მომავლისათვის იცავს ადამიანის მშვიდობიანი ცხოვრების უფლებას.

მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ვეტერანები სულითა და გულით უჭერენ მხარს პარტიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ნოვატორულ კურსს, მის აქტიურ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, მთელ პრაქტიკულ მუშაობას პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კონფერენციის მონაწილეებმა პირობა დაიდეს, რომ კვლავაც შეტანენ შეძლებისდაგვარ წვლილს კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში, დაამკვიდრებენ და განახორციელებენ პარტიის პოლიტიკას რთული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, წესრიგის დამყარებისათვის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ერთხმად დაამტკიცეს ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის წესდება.

აირჩიეს ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო საბჭო, აგრეთვე სარევიზიო კომისია. გაიმართა ომისა და შრომის ვეტერანთა სრულიად რუსეთის საბჭოს და ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის არჩევნები.

კონფერენციის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

ამით ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციის დამფუძნებელმა კონფერენციამ მუშაობა დამთავრა.

• • •

ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია **კ. ტ. მაზუროვი,** სრულიად რუსეთის საბჭოს თავმჯდომარედ — **ი. პ. ლიკოვა.** გენერალ-პოლკოვნიკი **ა. ს. ელეტოვი** არჩეულია საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

(საკდესი)

ისტორიული ნიშანსვეტი

დელი. „ინდოეთში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორიული ნიშანსვეტია“ — ამ თემაზე გაიმართა სემინარი ამ ქვეყნის მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინიციატივით. სემინარში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, დიპლომატები, ეკონომისტები, ჟურნალისტები, მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლები.

„სსრ კავშირისა და ინდოეთის დროით შემოწმებულ მრავალმხრივ კავშირურთიერთობას ახალი იმპულსი მიეცა ინდოეთში საბჭოთა ხელმძღვანელის ამასწინდელი ვიზიტის შედეგად“, — ხაზგასმით შეაჯამა წინაშე გამოსვლისას ინდოეთის ელჩმა სსრ კავშირში ტ. ნ. კაულმა. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა ახალი პოლიტიკური აზროვნების მაგალითი გახდა, ხაზგასმით აღნიშნა მან.

მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტმა ინდოეთში ხელი შეუწყო პლანეტის მთელი მშვიდობმოყვარე ძალების განმტკიცებასა და შეკავშირებას, რომლებიც იბრძვიან კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის, გამაღრეული შეიარაღების ახალი, უფრო საშიში დაჩქარების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის საშინაო გეგმების წინააღმდეგ, განაცხადა ინდოეთის კომუნისტური პარტიის დელის მოკავშირე ტერიტორიის ორგანიზაციის მდივანმა პრემ საგარ გუფთამ. დელის დეკლარაციის ათი პუნქტი ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ცივილიზაციის შექმნის, ძალადობისა და სიძულვილისაგან თავისუფალი მსოფლიოს აშენებისათვის მოკმედების კონკრეტული პროგრამა გახდა.

ცხოველი ინტერესი

რარორტონგის ხელშეკრულების ოქმების ხელმოწერის გამო

სიდნეი. ავსტრალიისა და ოკეანიის კუნძულ-სახელმწიფოების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცხოველი ინტერესი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა წყნარი ოკეანის სამხრეთი ნაწილის უბირთვო ზონად გამოცხადების ხელშეკრულების (რარორტონგის ხელშეკრულების) ოქმებს.

როგორც სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ფიჯი ტაიმსი“ აღნიშნავს, „სსრ კავშირი გახდა პირველი ნუთ ბირთვულ სახელმწიფოთაგან, რომლებიც გამოეხმაურნენ წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ფორუმის წევრი ქვეყნების მოწოდებას დაიცვან მათი ხელმოწერილი ხელშეკრულების უბირთვო სტატუსი“. „ეს ნაბიჯი საყოველთაო მოწონების ღირსია“, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

მაგრამ, განაგრძობს „ფიჯი ტაიმსი“, ძალზე დასანანია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, რომლებიც დიდის ამბით მოუწოდებენ სხვას მშვიდობისათვის, არ მიიჩნიათ შესაძლებლად მიჰბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს, ხოლო საფრანგეთმა, რომელიც ბირთვულ გამოცდებს აწყობს ამ რაიონში, განაცხადა, რომ უარს ამბობს ხელი მოაწეროს დოკუმენტს.

ავსტრალიის გაზეთ „სიდნეი მორნინგ ჰერალდის“ აზრით, საბჭოთა კავშირის მიერ რარორტონგის ხელშეკრულების ოქმების ხელმოწერა მოწმობს, რომ სსრ კავშირი გულწრფელად მოქმედებს მშვიდობის მისაღწევად და პლანეტაზე ბირთვული საფრთხის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

სემინარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტის შედეგების გამო

თობა ახლა ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობას იძენს. დელის დეკლარაცია ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ, რომელსაც ორი ქვეყნის მილიარდზე მეტი მოქალაქის სახელით ხელი მოაწერეს მ. ს. გორბაჩოვმა და რ. განდიმ, გამოხატავს პლანეტის ყველა ხალხის მისწრაფებას ბირთვული კატასტროფის საფრთხის ლიკვიდაციისათვის, მასობრივი მოსპობის იარაღისაგან, ომებისაგან თავისუფალი მსოფლიოს შექმნისათვის. ახლანდელ, შემაშფოთებელ საერთაშორისო ვითარებაში, როცა მსოფლიოში დაგრძელილა კოლოსალური მომაკვდინებელი არსენალები, დელის მოლაპარაკება ახალი პოლიტიკური აზროვნების მაგალითი გახდა, ხაზგასმით აღნიშნა მან.

მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტმა ინდოეთში ხელი შეუწყო პლანეტის მთელი მშვიდობმოყვარე ძალების განმტკიცებასა და შეკავშირებას, რომლებიც იბრძვიან კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის,

საქართველოს უსინჯთლოთა საზოგადოების ყრილობა

ასობით დასახელების ნაწარმს უშვებენ დღეს საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოების საწარმოები: სპბავშვო სათამაშოებს, საკანცელარიო საქონელს, ავეჯკალმებს, ხელსაწმენდებს — ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. განვლილი ხუთწლედის წლების მანძილზე მათ დაამზადეს თითქმის შვიდი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ეს ფაქტები მოიყვანეს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების IX ყრილობაზე. აქ აღინიშნა აგრეთვე, რომ მეთრთმეტე ხუთწლედში საზოგადოების ბიუჯეტი ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა, ხოლო შემოსავალი, მის პირველ წელთან შედარებით, 160 პროცენტით გადიდდა.

მაგრამ წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, უფრო აქტიურად რომ მუშაობდნენ საზოგადოების საწარმოები რუსთავში, დმანისში, ლანჩხუთში, მცხეთაში. ყველგან როდი უთმობენ ჯეროვან ყურადღებას გამომგონებლობასა და რაციონალიზატორობას, ბევრ ადგილას დიდხანს არ ნერგავენ ახალ ტექნიკას, რაც გავლენას ახდენს ნაწარმის ხარისხზე. საკმარისია ითქვას, რომ უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის გადახდილია 70 ათასი მანეთი ჯარიმა. ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალებაა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა დანერგვა.

განსაზღვრეს რა გარდაქმნის გზები, ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს წარმოების მოცულობის გადიდების საკითხებს, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. ითქვა, რომ აქ უფრო აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციებმა. ყრილობაზე საფუძვლიანი სჯა-ბაასის საგანი იყო ამოცანებიც, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების შემდგომ გაუმჯობესებასთან, საზოგადოების თითოეული წევრისათვის ზრუნვის გაძლიერებასთან.

ყრილობამ აირჩია საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პირველ პლენუმზე მის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ნ. გ. რუხაძე.

(საქინფორმი).

სამხრეთ ოსეთის მწერალთა ორგანიზაციაში

ცხინვალში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პიროული სხდომა. განიხილეს ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია პოეტი ჰაჯი-მურატ ძუცათი.

იმავე დღეს სამხრეთ ოსეთის მწერალთა ორგანიზაციის საერთო კრებამ განიხილა თანამედროვე ეტაპზე ავტონომიური ოლქის ლიტერატურთა ამოცანები და დასახა მათი გადაწყვეტის გზები. კრებაზე მოხსენება „გაკეთა" საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ხუტა ბერულავამ, რომელიც მეთაურობს სამხრეთ ოსეთის ლიტერატურის საბჭოს. (საქინფორმი).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი

ლენინის ქ. 14.

ტელეფონები

380096, თბილისი-96.

ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-05, 99-03-09, კმდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ულენინური თეორიის პროპაგანდის — 99-25-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; ჯორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 3-56-36; თელავი — 2-12-09; წითელწყაროო — 23-66; ყაზბეგი — 25-32.

ქართული საბჭოთა არქეოლოგიის მესაძირკვლე



ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, სომონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების ერთობლივი სხდომა, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ნიორაძის დაბადების 100 წლისთავს.

გიორგი ნიორაძეს წილად ხვდა საფუძველი ჩაეყარა ახალი ქართული საბჭოური არქეოლოგიისათვის. ეს დიდ სიძნელეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რადგან, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ითქვას, ჩვენში არ არსებობდა დაწესებულება, რომელსაც საქართველოს მიწა-წყლის მუდმივი, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა ჰქონოდა დაკისრებული. არც რომელიმე მეცნიერს უქცევია თავისი მოღვაწეობის განმსაზღვრელ მიზნად უკვე სიძველეთსაცავებში თავმოყრილი არქეოლოგიური ძეგლების საგანგებო და სრული სივრცე-სიღრმით შესწავლა. ამასთან, უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური მასალა უცხოეთში გაეხიზნათ, ხოლო რეკონსტრუქციამდელი ხანის საქართველოს არქეოლოგიის მამამთავარი პროფესორი ივანთიმე თაყაიშვილი საქართველოს საგანძურის მცველად იყო ევროპაში.

მალე საბჭოთა საქართველოში გამოინახა შესაძლებლობა და, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და რჩევით, მოსკოვსა და გერმანიაში სასწავლებლად გაიგზავნა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოჩენილი მასწავლებელი და მოღვაწე გიორგი ნიორაძე. ასე დაიწყო ზრუნვა სულ ერთი წლის საბჭოთა საქართველოს ქართველთმცოდნეობის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისათვის.

1925 წელს მოსკოვსა და ჰამბურგს გახსწავლული, უკვე ფილოსოფიის დოქტორი — საგანგებოდ კი ანთროპოლოგიასა და არქეოლოგიაში დასპეციალებული ახალგაზრდა მეცნიერი დაუბრუნდა თავის სამშობლოს და, ისევე ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად აირჩიეს.

სულ მალე საქართველოს მუზეუმში ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. გიორგი ნიორაძე ერთგულად ამოუდგა გვერდით ივანე ჯავახიშვილს მეთაურობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველთმცოდნე პროფესორების უფროს თაობას და საარქეოლოგიო კვლევისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოზრდას ჩაეყარა საფუძველი.

1934 წელს გ. ნიორაძე უკვე არქეოლოგიის კათედრას, შემდეგ არქეოლოგიის კაბინეტს აარსებს უნივერსიტეტში. შემდეგ დაინიშნა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, რომელიც წლის ბოლოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს შეუერთდა. ასე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშიც ახალ ქართულ სამეცნიერო ორგანოებს. ეს ორგანოებიც, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, ერთ-ერთ ადგილზე, ანუ ერთ ადგილას, ერთ ადგილზე, ერთ ადგილზე, ერთ ადგილზე